საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 825/01
03/02/2021

825-01-2-202102031559

შპს „კერამიკა ელ ტორენტე+"-ს
მის: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., N49ა
ელ. ფოსტა: metekhicet@yahoo.com;
ceramica@eltorrente.es

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 27 იანვრის N856 განცხადება, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხის მიმდებარედ აგურის საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 18 იანვრის №DES 5 21 00001786 (სამინისტროს რეგისტრაციით N320) წერილის თანახმად, ადგილზე განხორციელებული დათვალიერების შედეგად ცნობილი გახდა, რომ საწარმოს ძირითადი შენობა უკვე მოწყობილია და მასში დამონტაჟებული იყო კერამიკული პროდუქციის (აგურის) წარმოებისათვის საჭირო ყველა მოწყობილობა-დანადგარი, ასევე თითქმის დასრულებული იყო ღუმელის და საშრობის მშენებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ მიერ სამინისტროში წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში საქმიანობა განხილულია როგორც დაგეგმილი, ხოლო ტერიტორიაზე არსებული რეალობა განსხვავდება ანგარიშში მითითებული ინფორმაციისგან, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „კერამიკა ელ

ტორენტე+“ უზრუნველყოფს სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას საწარმოში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე